ა ნ ო ტ ა ც ი ა

მარიამ არჩვაძე

„საქართველოში ღვინის განვითარება და მისი ფალსიფიკაციის გზები“

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

საქართველოს მნიშვნელოვანი დარგია მევენახეობა და მეღვინეობა. საქართველო ითვლება მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების ზონად მსოფლიოში,ამ ყველაფრის მისაღწევად კი ქვეყანამ მეღვინეობა-მევენახეობის განვითარების დიდი გზა განვლო და კვლავ ცდილობს განვითარებას,რადგან ადამიანების მოთხოვნილებები დღითიდღე იზრდება და შესაბამისად სავაჭრო ბაზრის კრიტერიუმებიც იზრდება,შესაბამისად ღვინის ხარისხის შენარჩუნება და გაუმჯობესება არა მხოლოდ ღვინის მწარმოებელი კომპანიების,არამედ სახელმწიფოს პრიორიტეტია.

საქართველოში,როგორც ღვინის სამშობლოში დღეს 500-ზე მეტი ჯიშის ადგილობრივი ვაზია შემორჩენილი,.სწორედ ასეთი მრავლფეროვანი მასალა აძლევს ქართველ მეღვინეებს შესაძლებლობას,რომ ყველა კუთხეში, განსხვავებული თვისებების ღვინო აღმოგაჩენინოს თავისი განსაკუთრებული არომატებით და სხვა მახასიათებლებით.

მნიშვნელოვანია,რომ ღვინო იყოს ხარისხიანი და ნატურალური. ღვინის ხარისხის კონტროლი,მსოფლიო დღის წესრიგში მოექცა მას შემდეგ, რაც გაიზარდა ფალსიფიცირებული ღვინის წარმოება.ქართული მეღვინეობა ათწლეულებია ფალსიფიკატორთა წყალობით,მრავალი პრობლემის წინაშე დგას და ეს უპირველეს ყოვლისა ქართული ღვინის და ზოგადად მეღვინეობის პრესტიჟს ვნებს.ფალსიფიკატორები ასევე მომხმარებლის გემოვნების დეგრადაციასაც უწყობენ ხელს.ამ მნიშვნელოვან თემაზე და ასევე ზემოთ აღნიშნულ თემებზე დაწვრილებით ვისაუბრებ ჩემს ნაშრომში.